| | |
|---|---|
| **გაკვეთილის თემა:** | **ტიციან ტაბიძის „რია რია“** |
| **კლასი/სწავლების საფეხური** | VII ა–VII ბ კლასები/ საბაზო საფეხური |
| **მოსწავლეთა რაოდენობა** | შესაბამისად 25-26 მოსწავლე |
| **გაკვეთილის მნიშვნელობა/აქტუალობა** | ტიციან ტაბიძის პოეზიის შესწავლა ,ლექსით მიღებული ესთეტიკური განცდა,პოეტის მთავარი სათქმელის განსაზღვრა და მისი დაკავშირება სხვა უკვე შესწავლილი ლექსების იდეებთან. ტიციანის დამოკიდებულების განსაზღვრა პოეზიისადმი, კრიტიკული , ურთიერთთანამშრომლობითი და შემოქმედებითი უნარების განვითარება. |
| **გაკვეთილის მიზანი/შედეგი** | **მიმართულება კითხვა**<br><br>**ქართ. VII. 7.** მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გააზრება–გაანალიზება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა<br><br>**მიმართულება ზეპირმეტყველება**<br><br>**ქართ. VII. 5. მოსწავლეს შეუძლია ზეპირმეტყველების ძირითადი ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა და გამოყენება.**<br><br>შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:<br>● ამოიცნობს და იყენებს ზეპირი თხრობის დამახასიათებელ ნიშნებს (მაგ., სასვენი ნიშნების ფუნქციით იყენებს ინტონაციას, მიმართავს ჟესტებისა და მიმიკის ენას და სხვ.);<br><br>**მიმართულება:** წერა<br><br>**ქართ. VII. 11. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი ტექსტების შექმნა სხვადასხვა მიზნით.**<br><br>შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:<br>● გადმოსცემს შთაბეჭდილებას წაკითხულ წიგნზე, ლექსზე. |

| | |
|---|---|
| | ტიციან ტაბიძის პოეზიის შესწავლა. მოსმენილი ლექსის ემოციური განცდა.<br>საუბრობს პოეტის განწყობაზე, სწვდება ავტორის მთავარ სათქმელს, პარალელს ავლებს სხვა შესწავლილ ლექსებთან.<br>ლექსში მარადიულ კითხვებზე პასუხის ძიება. |
| **წინარე ცოდნა** | ტიციან ტაბიძის ბიოგრაფია. კლასგარეშე საკითხავად წინდაწინ მიცემული ლექსები. |
| **შეფასების საგანი და პროცედურები** | მოსწავლეთა ნამუშევრების შეფასება წინასწარ შემუშავებული რუბრიკის დახმარებით--წერითი სამუშაო, ზეპირი პრეზენტაცია, შემოქმედებითობა, მსჯელობის უნარი. |
| **სასწავლო მასალა და რესურსი** | დაფა, ცარცი, სახელმძღვანელო, რვეული. ვიდეომასალა. |
| **გაკვეთილის მსვლელობა** | ა) ფაზა<br>**სამოტივაციო აქტივობა.** მინილექცია თემაზე:"თან საქართველოს დამაქვს ოცნება". რას უნდა ნიშნავდეს მთელი ქვეყნის ოცნების ტარება? რა არის თქვენი ოცნება? (5-7წთ)<br>ბ) მოდელირებული წერა .განვსაზღვრავთ დროს და წინადადებათა რაოდენობას.<br>თემა: საქართველოს ოცნება (20წთ) 3 მოსწავლე წაიკითხავს.<br>ბ) ფაზა **ჯგუფური მუშაობა**<br>**1.**ლიტერატორთა ჯგუფი იმუშავებს ლექსის იდეურ-მხატვრულ ანალიზზე წინასწარ მიცემული კითხვების დახმარებით.<br>2.ლიტ. კრიტიკოსები ავლებენ პარალელს ლადო ასათიანის, ომა წიკლაურის, ანა კალანდაძის ლექსებთან და იმსჯელებენ რა აერთიანებს ამ ლექსებს, რა შეუძლიათ ლექსებს?<br>3. შემოქმედები ხატავენ საქართველოს ოცნებას, როგორ წარმოუდგენიათ იგი.<br>**პრეზენტაცია.** თითოეული ჯგუფუდან პრეზენტატორი გააკეთებს პრეზენტაციას.(15წთ)<br>გ) ფაზა . მსჯელობა, თუ რომელმა ჯგუფმა გაართვა კარგად თავი დავალებას.რა მოეწონათ, რას დაამატებდნენ, რა არ მოეწონათ. (5წთ)<br>შეფასება--ვაფასებ თითოეულ ჯგუფს.<br>**საშინაო დავალება:** რა შეუძლიათ ლექსებს? დაწერონ ესე. |

| | |
|---|---|
| **დიფერენცირებული სწავლება** | მარტივი ტესტის მიცემა |
| **თვითშეფასება** | |